საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნ ვ.აბაშიძეს

შპს „ივერია ქსელის“

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის #571/9 გადაწყვეტილებაში 2016 წლის 30 ივნისის შესული ცვლილების შესაბამისად #446/19, წარმოგიდგენთ, შპს „ივერია ქსელის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების (წამოწყება/დასრულება) მომსახურების შეთავაზების (მოწვევა ოფერტა) 2013 წლის 17 დეკემბრის შეთავაზებაში შესატანილ ცვლილებებს;

1. შეთავაზების მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის სამი აბზაცი:

- „საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარის ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) მომსახურების ტარიფი მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე შეადგენს:

ა) პირველი საფეხური, 1000 (ათასი) წუთამდე, პირდაპირი ურთიერთჩართვის შემთხვევაში, 0,9 აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთზე;

ბ) პირდაპირი ურთიერთჩართვის შემთხვევაში და მეორე საფეხურზე 1000 (ათასი) წუთს ზევით) 0,11.25 აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 1 წუთი;

ს.6/7589.16

- საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარის არაპირდიაპირი, ტრანზიტული გატარებისთვის მომსახურების ტარიფი, შეადგენს ერთი წუთი - 0.01 აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით. ოფერენტი იღებს მხოლოდ, ტრანზიტული მომსახურების გაწევის საფასურს, სხვა ფინანსური და იურიდიული საკითხები აქცეპტანტსა და მესამე პირს შორის რეგულირდება ოფორენტისაგან დამოუკიდებლად, ხოლო მათ შორის დავის შემთხვევაში (დავა, რომელიც ეხება გატარებული ტრაფიკის მოცულობას) ოფერენტის მონაცემები გატარებული ტრაფიკის მოცულობის შესახებ მიიჩნევა უპირობოდ სწორად.

- ოფერენტთან არაპირდაპირი, ტრანზიტული ურთიერთჩართვის შემთხვევაში, მომსახურების სახიდან გამომდინარე აქცეპტანტი ფარავს ზარის წამოწყების ან/და ტრაზიტული მომსახურების **საფასურს ან ზარის** დასრულების ან/და ტრანზიტული მომსახურების **საფასურს;**

2. ფიქსირებული საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და სატელეფონო ზარის წამოწყება/დასრულების ოფერტა ძალაშია 2016 წლის 1 აგვისტოდან და ძალაშია 6 თვის ვადით. თუ მხარემ ვადის გასვლამდე არ შეიტანა მასში ცვლილებები იგი ავტომატურად გრძელდება იგივე ვადითა და პირობებით;

შპს „ივერია ქსელის" დირექტორი ირმა დგებუაძე